

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მ ა ი ა ნ ი კ ო ლ ი შ ვ ი ლ ი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
მათემატიკის დეპარტამენტი

ერთი არაწრფივი დიფუზიური მოდელის გამოკვლევა და
მიახლოებითი ამოხსნა

*Ph. D - მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი*

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი თემურ ჯანგველაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი,

პროფესორი ზურაბ კილურაძე

თბილისი, 2016

აბსტრაქტი. დისერტაციაში შესწავლილია მცენარეთა ფოთლებში მიმდინარე ძარღვოვანი განვითარების დიფუზიური პროცესების აღმწერი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის ზოგიერთი თვისება. კერძოდ, აღნიშნული ორგანზომილებიანი დიფუზიური სისტემისა და მისი ერთგანზომილებიანი ვარიანტების შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნებისათვის მიღებულია აპრიორული შეფასებები და ერთადერთობის დებულებები. აგებულია ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული ანალოგები. ორგანზომილებიან მოდელში არსებითი ყურადღება ექცევა ეკონომიურ ალგორითმებს. დამტკიცებულია შესაბამისი მდგრადობის და კრებადობის თეორემები. მოყვანილია სარეალიზაციო ალგორითმები, შედგენილია შესაბამისი პროგრამები და ჩატარებულია თეორიული შედეგების დამადასტურებელი მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი და მათი ანალიზი.

M a i a N i k o l i s h v i l i

Faculty of Exact and Natural Sciences

Department of Mathematics

**Investigation and Numerical Solution of One Nonlinear
Diffusion Model**

A D I S E R T A T I O N

Submitted for the degree of Ph.D in Mathematics

Scientific advisers:

Doctor of Physics and Mathematics,

Professor Temur Jangveladze

Ph.D Physics and Mathematics,

Professor Zurab Kighuradze

Tbilisi, 2016

Abstract. In this work we study the system which describes the vein formation in meristematic tissues of young leaves. The system of two-dimensional nonlinear partial differential equations and its one-dimensional analog is considered. Semi-discrete and finite difference schemes for initial-boundary value problems are constructed and investigated. Absolute stability regarding space and time steps of scheme is shown. The convergence is given. Various numerical experiments are carried out and results some of them are considered. Comparison of numerical experiments with the results of the theoretical investigation is given too.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	6
თავი I	22
ერთგანზომილებიანი მოდელი და მისი მიახლოებითი ამოხსნა	22
§1. ამოცანის დასმა	22
§ 2. ნახევრად-დისკრეტული სქემა და მისი კრებადობა	24
§ 3. ერთი არაცხადი სხვაობიანი სქემა	28
§ 4. იტერაციულ მეთოდზე დაფუძნებული სხვაობიანი სქემის შესახებ	33
§5. დიფუზიური მოდელის პარაბოლური რეგულარიზაცია	34
§ 6. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები	36
თავი II	45
ორი დეკომპოზიციური მოდელი არაწრფივი ორგანზომილებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის	45
§ 1. ამოცანის დასმა	45
§ 2. ამონახსნის ერთადერთობის შესახებ	47
§ 3. ჯამური აპროქსიმაციის გასაშუალოებული მოდელი	49
§ 4. ერთი დეკომპოზიციური სხვაობიანი სქემა	53
§ 5. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები	55
თავი III	62
ცვალებადი მიმართულებების სხვაობიანი სქემის აგება და გამოკვლევა ორგანზომილებიანი მოდელისთვის	62
§1. მცენარეთა ფოთლების ძარღვოვანი განვითარების მათემატიკური მოდელი	62
§2. ცვალებადი მიმართულებების სხვაობიანი სქემა	64
§ 3. ცვალებადი მიმართულებების (3.2.1)-(3.2.7) სქემის მდგრადობა	67
§4. ცვალებადი მიმართულებების (3.2.1)-(3.2.7) სქემის კრებადობა	70
§5. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები	77
ლიტერატურა	87
დანართი	96

შესავალი

არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები და მათი სისტემები წარმოიშვება მრავალი რეალური პროცესის მათემატიკური მოდელირებისას. მათთვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანების თვისობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების დადგენა, დისკრეტული ანალოგების აგება, გამოკვლევა და რიცხვითი ალგორითმების შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე მათემატიკის და ინფორმატიკის მეტად აქტუალურ და სწარაფად განვითარებად ნაწილს.

დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ახალი ხერხი ისეთი რთული პროცესების კვლევისა, რომლებიც შესაძლებელია მათემატიკურად აღიწეროს. ეს არის გამოთვლითი ექსპერიმენტი, ე.ი. საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო პრობლემების კვლევა გამოთვლითი მათემატიკის საშუალებებით.

თუ რაიმე ფიზიკური პროცესია შესასწავლი პირველ ეტაპზე ხდება მისი მათემატიკური მოდელის აგება, ე.ი. პროცესის აღწერა დიფერენციალური, ინტეგრალური ან ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისა და მათი სისტემების სახით. ეს განტოლებები, როგორც წესი, ძირითადი ფიზიკური სიდიდეების შენახვის კანონებს გამოხატავს. გამოთვლითი ექსპერიმენტის მეორე ეტაპი მდგომარეობს გამოთვლითი ალგორითმების არჩევასა და მის გამოკვლევაში, მესამე ეტაპზე ხორციელდება კომპიუტერისთვის გამოთვლითი ალგორითმის დაპროგრამება, მეოთხე ეტაპზე - კომპიუტერზე გამოთვლების ჩატარება და ბოლოს, გამოთვლითი ექსპერიმენტის მეხუთე ეტაპად შეიძლება გამოიყოს მიღებული რიცხვითი შედეგების ანალიზი და მათემატიკური მოდელის შემდგომი დაზუსტება.

კომპიუტერზე ამოცანის გადაწყვეტისას ყოველთვის ვღებულობთ თავდაპირველი ამოცანის არა ზუსტ, არამედ მიახლოებით ამონახსნს. მიახლოება სასურველია, რაც შეიძლება ზუსტი იყოს. ნებისმიერი ამოცანისათვის შეიძლება მოინახოს მრავალი ალგორითმი, რომლებიც რიგით ერთნაირ $\varepsilon > 0$ სიზუსტეს იძლევიან მოქმედებათა სხვადასხვა რიცხვისათვის. სიზუსტის რიგის

მიხედვით ექვივალენტურ ალგორითმებს შორის შეიძლება აირჩეს ისეთი, რომელიც ამოცანის ამოხსნას უმცირესი მანქანური დროის (მოქმედებათა $Q(\varepsilon)$ რიცხვის) დანახარჯით იძლევა, ანუ ალგორითმი უნდა იყოს ეკონომიური. მრავალგანზომილებიანი ამოცანებისათვის ერთ-ერთი ასეთი მეთოდი არის დეკომპოზიციის (გახლეჩვის) მეთოდი და ჯამური აპროქსიმაციის ზოგადი პრინციპი (იხ. მაგალითად, [1-7, 15-20, 28-36, 38, 40-45, 54, 61, 64, 67, 73-75, 81, 82, 87]), რომელიც საშუალებას იძლევა რთული ამოცანა უფრო მარტივ ამოცანათა მიმდევრობად დანაწილდეს. ეს არსებითად ამარტივებს მათემატიკური ფიზიკის მრავალგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ერთ-ერთი ასეთი, მათემატიკური ფიზიკის რთული ორგანზომილებიანი ამოცანის შესწავლა. კერძოდ, მცენარეთა ფოთლებში მიმდინარე მარღვოვანი განვითარების დიფუზიური პროცესების აღმწერი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის ზოგიერთი თვისების შესწავლა, შესაბამისი დისკრეტული ანალოგების აგება და გამოკვლევა, სარეალიზაციო ალგორითმების შედგენა, პროგრამული უზრუნველყოფა და რიცხვითი ამოხსნა.

მცენარეთა ფოთლებში მარღვების ფორმირების ერთ-ერთი საინტერესო მათემატიკური მოდელი შემოთავაზებულ იქნა ინგლისელი მეცნიერის ჯ. მიჩისონის მიერ [57].

მიჩისონმა მოდელი მიიღო მრავალ ექსპერიმენტზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე. კერძოდ, მარღვთა რეგენერაციაზე ჩატარებული ექსპერიმენტები აჩვენებენ, რომ გარკვეული სახის სიგნალები, რომლებსაც შეუძლიათ მარღვის დიფერენციაცია, მიედინება ფოთლების მზარდ ქსოვილებში არსებული წყაროდან ფესვებისკენ. იმ გზის ტევადობა, რომელიც ახდენს სიგნალის ტრანსპორტირებას, იზრდება ნაკადთან ერთად. ზემოთმოყვანილი ბიოლოგიური პროცესის გამოკვლევისას ამ მნიშვნელოვანი ფაქტის გათვალისწინება აუცილებელია [80].

კონცეფცია ნაკადთან ერთად დიფუზიის კოეფიციენტის ცვლილების შესახებ პარალელს პოულობს სხვადასხვა ფიზიკურ სისტემებში. დიფუზიური

პროცესები, როგორც წესი აღიწერება რთული მრავალგანზომილებიანი არაწრფივი განტოლებების სისტემებით და მათი როგორც გამოკვლევა, ასევე რიცხვითი ამოხსნა არსებით სირთულეებთანაა დაკავშირებული (იხ. მაგალითად, [7-10, 12-14, 24, 26, 27, 39, 46-48, 50-53, 56, 59, 68, 71, 79, 83, 87] და მათში მოყვანილი ლიტერატურული ციტირებები).

მიჩისონის მიერ შემოთავაზებულ უწყვეტ მოდელს აქვს შემდეგი სახე [57]:

$$\begin{aligned} \frac{\partial S}{\partial t} &= \frac{\partial}{\partial x_1} \left(D_1 \frac{\partial S}{\partial x_1} \right) + \frac{\partial}{\partial x_2} \left(D_2 \frac{\partial S}{\partial x_2} \right), \\ \frac{\partial D_i}{\partial t} &= f \left(D_i, D_i \frac{\partial S}{\partial x_i} \right), \quad i = 1, 2, \end{aligned} \tag{0.1}$$

სადაც $S(t, x_1, x_2)$ არის სიგნალის კონცენტრაცია, ხოლო D_1 და D_2 დიფუზიის კოეფიციენტებია OX_1 და OX_2 საკოორდინატო ღერძების მიმართულებით. წყაროს აქტივობა ამ შემთხვევაში (0.1) სისტემაში არ განიხილება.

მიჩისონის მოდელი სწრაფად მოექცა სხვადასხვა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. კერძოდ, მოდელის წარმოშობიდან მოკლე ხანში, ამერიკელი მათემატიკოსების ჯ. ბელის, ჩ. კოსნერისა და უ. ბერტიგერის მიერ გამოკვლეული იქნა (0.1) სისტემის შესაბამისი ერთგანზომილებიანი ანალოგი [9].

მათ განიხილეს შემდეგი ამოცანა:

$$\begin{aligned} \frac{\partial S}{\partial t} &= \frac{\partial}{\partial x} \left(d \frac{\partial S}{\partial x} \right), \quad (x, t) \in (0, 1) \times (0, T], \\ \frac{\partial d}{\partial t} &= -d + g \left(d \frac{\partial S}{\partial x} \right), \quad (x, t) \in [0, 1] \times (0, T], \end{aligned} \tag{0.2}$$

$$\begin{aligned} S(0, t) &= 0, \quad d \frac{\partial S}{\partial x} \Big|_{x=1} = \psi, \quad t \in [0, T], \\ S(x, 0) &= S_0(x); \quad d(x, 0) = d_0(x) \geq \delta_0 = \text{const} > 0, \quad x \in [0, T], \end{aligned} \tag{0.3}$$

სადაც $0 < g_0 \leq g(\xi) \leq G_0$, $g_0 = \text{Const}$, $G_0 = \text{Const}$, T და ψ დადებითი კონსტანტები, ხოლო g , S_0 , d_0 - მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციებია. ავტორებმა დაამტკიცეს თეორემა დასმული ამოცანის ამონახსნის არსებობისა და ერთა-

დერთობის შესახებ, რისთვისაც გამოიყენეს ცვლადთა ბუნებრივი გარდაქმნა და ასევე ბუნებრივი იტერაციული სქემა.

კერძოდ, ახალი უცნობის შემოტანით

$$W(x, t) = D \frac{\partial S}{\partial x}$$

(0.2), (0.3) რედუცირდება შემდეგ ამოცანაზე:

$$\frac{\partial W}{\partial t} = d \frac{\partial^2 W}{\partial x^2} + \left[\frac{g(W)}{d} - 1 \right] W,$$

$$\frac{\partial d}{\partial t} = -d + g(W),$$

$$\left. \frac{\partial W}{\partial x} \right|_{x=0} = 0, \quad W(1, t) = \psi,$$

$$W(x, 0) = W_0(x) = d_0 \frac{dS_0(x)}{dx}, \quad d(x, 0) = d_0(x).$$

შესაბამისი იტერაციული სქემაა:

$$\frac{\partial W^n}{\partial t} = d^{n-1} \frac{\partial^2 W^n}{\partial x^2} + \left[\frac{g(W^{n-1})}{d^{n-1}} - 1 \right] W^{n-1}, \tag{0.4}$$

$$\frac{\partial d^n}{\partial t} = -d^n + g(W^{n-1}),$$

$$\left. \frac{\partial W^{n-1}}{\partial x} \right|_{x=0} = 0, \quad W^n(1, t) = \psi, \tag{0.5}$$

$$W^n(x, 0) = W_0(x), \quad d^n(x, 0) = d_0(x).$$

(0.4), (0.5) იტერაციულ პროცესზე დაფუძნებული რიცხვითი ალგორითმები კომპიუტერზე ადვილად რეალიზებადია, რადგან იგი შეიცავს ორ დამოუკიდებელ კერძოწარმოებულებიან წრფივ განტოლებას.

იგივე ნაშრომში [9] მიღებულია სტაციონალური ამონახსნის მდგრადობის საკმარისი პირობა $L_2(0,1)$ სივრცის ნორმის აზრით. ამ პირობას აქვს შემდეგი სახე

$$\frac{1}{\delta_0} \left[G_1 D_1 + \frac{\psi}{g(\psi)} \right] + \frac{G_1 \psi}{g'(\psi)} < 1,$$

სადაც G_1, D_1 დადებითი მუდმივებია.

იმავე სტატიაში მითითებულ იქნა ჰოფის ბიფურკაციული სურათის არსებობის შესაძლებლობაზე. კერძოდ, თუ შესრულებულია პირობა $0 < \psi < \psi_c$, (ψ_c არის კრიტიკული მნიშვნელობა), მაშინ ამონახსნი აბსოლუტურად მდგრადია $L_2(0,1)$ სივრცის ნორმის აზრით, ხოლო როგორც კი $\psi > \psi_c$, მაშინ ადგილი აქვს ჰოფის ბიფურკაციას [55].

მათემატიკური მოდელი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა XX საუკუნის 80-იან წლებში, კვლავ აქტუალური გახდა უახლესი ბიოქიმიური გამოკვლევების და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად და მისი კვლევა უფრო ინტენსიური გახდა. რასაც ადასტურებს ის უამრავი ლიტერატურული მითითება, რაც განხორციელებულია ამ ნაშრომზე (იხ., მაგალითად, [9, 11, 20-23, 25, 37, 39-45, 49, 58, 60-66, 69, 70, 76-78, 84, 85] და მათში მოყვანილი ლიტერატურული ციტირებები).

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულია მათემატიკური გამოკვლევები არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი განტოლებათა აღწერილი დიფუზიური სისტემის ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ვარიანტებისთვის. ამოცანაში შემავალი ყველა პარამეტრისათვის, კერძოდ, არაწრფივობის მახასიათებლებისთვის, როგორც უწყვეტი, ასევე დისკრეტული ანალოგების სრულყოფილი თეორიული შესწავლა ფაქტიურად შეუძლებელია. სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სხვადასხვა კერძო შემთხვევის თეორიულ გამოკვლევებს, რომელთა შედეგებიც დადასტურებულია ჩატარებული მრავალი რიცხვითი გამოთვლებით.

რეალური გამოყენებითი ამოცანების შესწავლა თანამედროვე კომპიუტერების გარეშე წარმოუდგენელია. არაწრფივი ამოცანების ამოხსნის მეთოდების განვითარება და მათ ბაზაზე სხვადასხვა გამოყენებითი ამოცანის მოდელირებისთვის გამოთვლითი ექსპერიმენტების ჩატარების აუცილებლობა ნათელია. მათემატიკური ფიზიკის ამოცანების რიცხვითი ამოხსნის მეთოდები განხილულია მრავალ სამეცნიერო პუბლიკაციაში (იხ., მაგალითად, [1-7, 16-23, 27-36, 38-

47, 49, 52-54, 61-66, 73-75, 81-87] და მათში მოყვანილი ლიტერატურული ციტირებები).

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართისაგან.

პირველ თავში შესწავლილია ერთი დიფუზიური მოდელი, რომელიც წარმოიშვება მცენარეთა ფოთლებში ძარღვების ფორმირებისას. აგებული და გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული ანალოგები. მოცემულია ამოხსნის ალგორითმები და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები და ანალიზი. მოყვანილია გრაფიკული ილუსტრაციები.

პირველ პარაგრაფში მოცემულია მიჩისონის [57] მიერ შემოთავაზებული (0.1) დიფუზიური მოდელის შესაბამისი ერთგანზომილებიანი ანალოგისათვის (0.2), (0.3) საწყის-სასაზღვრო ამოცანა მოხერხებულობისათვის ჩაწერილი განსხვავებულ არაბიოლოგიურ აღნიშვნებში:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right),$$

$$\frac{\partial V}{\partial t} = -V + g \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right). \quad (0.6)$$

$$U(0; t) = 0, \quad V \frac{\partial U}{\partial x} \Big|_{x=1} = \psi, \quad t \in [0, T],$$

$$U(x; 0) = U_0(x), \quad V(x; 0) = V_0(x) \geq \delta_0, \quad x \in [0, 1],$$

სადაც U_0 , V_0 , g მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციებია, ამასთან $g_0 \leq g(x) \leq G_0$; T , g_0 , G_0 , δ_0 , ψ - მოცემული დადებითი მუდმივებია.

აღვნიშნოთ, რომ (0.6) ამოცანაში მოყვანილი სისტემისა და მისი მრავალგანზომილებიანი ანალოგების და მსგავსი მოდელების შესწავლასა და მიახლოებითი ამოხსნის საკითხებს ეძღვნება მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა (იხ., მაგალითად, [9, 11, 20, 23, 31, 37, 39-45, 49, 58, 60-66, 69, 70, 76-80] და მათში მოყვანილი ლიტერატურული ციტირებები).

მეორე პარაგრაფში აგებული და გამოკვლეულია (0.6) ამოცანის შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული სქემა:

$$\begin{aligned} \frac{du}{dt} - (vu_{\bar{x}})_x &= 0, \\ \frac{dv}{dt} &= -v + g(vu_{\bar{x}}), \end{aligned} \tag{0.7}$$

$$u(0, t) = 0, \quad v_M u_{\bar{x}, M} = \psi, \quad t \in [0, T], \tag{0.8}$$

$$u(x, 0) = u_0(x), \quad x \in \bar{\omega}_h, \quad v(x, 0) = v_0(x), \quad x \in \bar{\omega}_h.$$

(0.7), (0.8) დამოკიდებულებებში მონაწილე $u(t)$ და $v(t)$ დისკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია $[0, 1]$ სეგმენტზე აგებულ თანაბარბიჯიან $\bar{\omega}_h$ ბადეზე.

დამტკიცებულია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.2.1. ნახევრად-დისკრეტული (0.7), (0.8) სქემის $(u(t), v(t))$ ამონახსნი კრებადია (0.6) ამოცანის (U, V) ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს და არის $O(h)$ სიდიდის ტოლი.

შენიშვნა 1.2.1. თუ $v(t)$ დისკრეტულ ფუნქციას განვსაზღვრავთ შემდეგ ბადეზე

$$\omega_h^* = \{x_i = (i - 1/2)h, \quad i = 1, \dots, M\}$$

და სასაზღვრო პირობის აპროქსიმაციას, როცა $x = 1$, მოვახდენთ შემდეგნაირად

$$v_{M-1/2} u_{\bar{x}, M} + \frac{h}{2} \left(\frac{du}{dt} \right)_M = \psi,$$

მივიღებთ შემდეგ ნახევრად-დისკრეტულ სქემას:

$$\begin{aligned} \frac{du}{dt} - (vu_{\bar{x}})_x &= 0, \\ \frac{dv}{dt} &= -v + g(vu_{\bar{x}}), \end{aligned} \tag{0.9}$$

$$u(0, t) = 0, \quad v_{M-1/2} u_{\bar{x}, M} + \frac{h}{2} \left(\frac{du}{dt} \right)_M = \psi, \quad t \in [0, T],$$

$$u(x, 0) = U_0(x), \quad x \in \bar{\omega}_h, \quad v(x, 0) = V_0(x), \quad x \in \omega_h^*,$$

რომლის აპროქსიმაცია (0.6) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(h^2)$ რიგის და შესაბამისად, სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.2.2. ნახევრად-დისკრეტული (0.9) სქემის აპროქსიმაცია (0.6) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(h^2)$ და იგი კრებადია (0.6) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

იგივე ამოცანისათვის აგებულია აგრეთვე სრულად დისკრეტული ანალოგი. კერძოდ, (0.6) ამოცანის შესაბამისი არაცხადი სხვაობიანი სქემა და შესწავლილია მისი კრებადობის საკითხი ბადურ ფუნქციათა C_h სივრცის ნორმის აზრით.

პირველი თავის ბოლოს (0.6) მოდელის ერთი ვარიანტისთვის განხილულია შემდეგი ამოცანა:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right) + f(x, t), \quad (x, t) \in \Omega \times (0, T),$$

(0.10)

$$\frac{\partial V}{\partial t} = -V + g \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right) + \varepsilon \frac{\partial^2 V}{\partial x^2} + \varphi(x, t), \quad (x, t) \in \Omega \times (0, T),$$

$$U(0, t) = U(1, t) = 0, \quad \frac{\partial V}{\partial x}(0, t) = \frac{\partial V}{\partial x}(1, t) = 0, \quad t \in [0, T],$$

(0.11)

$$U(x, 0) = U_0(x), \quad V(x, 0) = V_0(x) \geq \text{Const} > 0, \quad x \in \bar{\Omega},$$

სადაც კვლავ g, U_0, V_0 მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციებია, ამასთან $g_0 \leq g(\xi) \leq G_0; T, g_0, G_0, \varepsilon$ მოცემული დადებითი კონსტანტებია, $\Omega = (0, 1)$, ხოლო $\partial\Omega$ არის Ω -ს საზღვარი $\{0, 1\}$.

დასმულ ამოცანას შეიძლება შევხედოთ როგორც პირველ პარაგრაფში განხილული მოდელის პარაბოლურ რეგულარიზაციას $\varepsilon \frac{\partial^2 V}{\partial x^2}$ წევრის წამატებით.

აქვე აგებულია (0.10), (0.11) ამოცანის შესაბამისი დისკრეტული ანალოგი და შესწავლილია მისი კრებადობის საკითხი ბადურ ფუნქციათა C_h ნორმის აზრით.

აგებული ალგორითმების საფუძველზე ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი. დადასტურებულია ალგორითმების კრებადობა და ამოცანის პარაბოლური რეგულარიზაციის ყოფაქცევა, როცა $\varepsilon \rightarrow 0$.

მეორე თავში შესწავლილია არაწრფივი ორგანზომილებიანი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა, რომლითაც აღიწერება ბიოლოგიური დიფუზიური პროცესები და რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V_1 \frac{\partial U}{\partial x} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left(V_2 \frac{\partial U}{\partial y} \right), \quad (0.12)$$

$$\frac{\partial V_1}{\partial t} = -V_1 + g_1 \left(V_1 \frac{\partial U}{\partial x} \right), \quad (0.13)$$

$$\frac{\partial V_2}{\partial t} = -V_2 + g_2 \left(V_2 \frac{\partial U}{\partial y} \right),$$

სადაც g_i , $i = 1, 2$, თავისი არგუმენტების ცნობილი ფუნქციებია, რომლებიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ დამატებით პირობებს.

განტოლებათა (0.12), (0.13) სისტემა საინტერესოა როგორც ბიოლოგიის, ასევე ფიზიკის და სხვა დარგების სამეცნიერო მიმართულებებისთვისაც.

(0.12), (0.13) სისტემის ზოგიერთი ხარისხობრივი და სტრუქტურული თვისება დადგენილია [9], [40] შრომებში. [9] ნაშრომში გამოკვლეულია (0.12), (0.13) სისტემის ერთგანზომილებიანი ანალოგი ორი უცნობი U და V_1 ფუნქციით. [9] და [58] ნაშრომებში ასევე ყურადღება გამახვილებულია (0.12), (0.13) სისტემის შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების როგორც თეორიული და პრაქტიკული კვლევების, ასევე მიახლოებითი ამონახსნების აგების დიდ მნიშვნელობაზე.

მოცემული მოდელის ორგანზომილებიანობის გამო მისი რიცხვითი რეალიზაცია ქმნის გარკვეულ პრობლემებს, რომლებიც არსებითად არიან განპირობებულნი შესაბამისი ალგორითმის შრომატევადობით და არაეკონომიურ-

ბით, ამიტომ ბუნებრივად წარმოიშვება ეკონომიური ალგორითმების მოძიების საკითხი. აღნიშნული ალგორითმები ძირითადად მიეკუთვნებიან გახლეჩისა და ჯამური აპროქსიმაციის მეთოდებს მათი მააპროქსიმირებელი თვისებების მიხედვით.

ოპერატორთა გახლეჩვის ტექნიკის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მას შემდეგ, რაც დუგლასის, პისმენის და რეკვორდის [16-19, 67] მიერ შემოღებულ იქნა ალტერნატიული მიმართულების მეთოდები, მათემატიკური ფიზიკის მრავალგანზომილებიანი და მსგავსი ტიპის ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების აგების მეთოდები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეს მიდგომა, რომელიც ამცირებს დროს მრავალგანზომილებიანი ამოცანების ლოკალურად ერთგანზომილებიან ამოცანებზე დაყვანით, გამოყენებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი ფიზიკური და სხვა დარგების ამოცანების რიცხვითი მოდელირებისთვის. დღეისათვის არსებობს მრავალგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნის რამდენიმე ეფექტური ალგორითმი (იხ., მაგალითად, [1-6, 15-19, 32-36, 38, 53, 54, 67, 73-75, 81, 82, 86] და მათში მითითებული ლიტერატურა).

(0.12), (0.13) სისტემის სახე გვკარნახობს დეკომპოზიციის (გახლეჩის) მეთოდის გამოყენებას, რადგანაც განტოლება (0.12) ორგანზომილებიანია, ხოლო (0.13) განტოლებები შესაბამისად შეიცავენ მხოლოდ x ან y ცვლადს და V_α დიფუზიის კოეფიციენტებს.

მეორე თავში (0.12), (0.13) სისტემისათვის გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა, აგებულია ჯამური აპროქსიმაციის გასაშუალოებული მოდელი, რომელიც წარმოადგენს ეკონომიური ალგორითმის აგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს.

პირველ პარაგრაფში არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა (0.12), (0.13) სისტემისათვის დასმულია შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა:

$$\begin{aligned}
 U(x, y, 0) &= U_0(x, y), \quad V_i(x, y, 0) = V_{i0}(x, y), \quad i = 1, 2, \\
 U(x, y, t) &= 0, \quad (x, y, t) \in \partial\Omega \times [0, T].
 \end{aligned}
 \tag{0.14}$$

სადაც $\Omega = (0,1) \times (0,1)$, T - ნებისმიერი ფიქსირებული დადებითი რიცხვია, ხოლო g_i, U_0, V_{i0} მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციებია, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

$$\begin{aligned} V_{i0} &\geq \delta_0 = \text{const} > 0, & x \in \bar{\Omega}, \\ g_0 &\leq g_i(\xi_i) \leq G_0, & |g'_i(\xi_i)| \leq G_1, & \xi_i \in R, & i = 1,2, \end{aligned} \quad (0.15)$$

სადაც δ_0, g_0, G_0, G_1 დადებითი მუდვივებია.

მეორე პარაგრაფში დამტკიცებულია თეორემა მოცემული (0.12)-(0.14) ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის შესახებ. კერძოდ, სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 2. 2.1. თუ (0.12)-(0.14) ამოცანას გააჩნია კლასიკური ამონახსნი, მაშინ ის ერთადერთია.

მესამე პარაგრაფში განხილულია ჯამური აპროქსიმაციის გასაშუალებული მეთოდი (0.12)-(0.14) ამოცანისათვის, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს მოცემული სისტემისათვის ეკონომიური ალგორითმის აგების ერთ-ერთ მეთოდს. აღნიშნულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{aligned} \eta_1 \frac{\partial U_1^k}{\partial t} &= \frac{\partial}{\partial x} \left(V_1^k \frac{\partial U_1^k}{\partial x} \right), \\ \eta_2 \frac{\partial U_2^k}{\partial t} &= \frac{\partial}{\partial y} \left(V_2^k \frac{\partial U_2^k}{\partial y} \right), \\ \frac{\partial V_1^k}{\partial t} &= -V_1^k + g_1 \left(V_1 \frac{\partial U_1^k}{\partial x} \right), \\ \frac{\partial V_2^k}{\partial t} &= -V_2^k + g_2 \left(V_2 \frac{\partial U_2^k}{\partial y} \right), \\ U_1^k|_{x=0} &= U_1^k|_{x=1} = 0, & U_2^k|_{y=0} &= U_2^k|_{y=1} = 0, & U_i^0(x, 0) &= U_0(x), \\ U_i^k(x, y, t_k) &= U^{k-1}(x, y, t_k), & V_i^k(x, y, t_k) &= V_i^{k-1}(x, y, t_k), & i &= 1,2, \end{aligned} \quad (0.16)$$

სადაც

$$U^k(x, t) = \eta_1 U_1^k(x, y, t) + \eta_2 U_2^k(x, y, t), \quad \eta_1, \eta_2 > 0, \quad \eta_1 + \eta_2 = 1.$$

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 2.3.1. (0.16), (0.17) ამოცანის ამონახსნი (U^k, V_1^k, V_2^k) კრებადია (0.12)-(0.14) ამოცანის ამონახსნისაკენ (U, V_1, V_2) , როცა $\tau \rightarrow 0$ და ადგილი აქვს შეფასებას

$$\|U^k(t) - U(t)\|^2 + \|V_1^k(t) - V_1(t)\|^2 + \|V_2^k(t) - V_2(t)\|^2 = O(\tau^{1/2}).$$

მეოთხე პარაგრაფში აგებული და გამოკვლეულია (0.12)-(0.14) ამოცანის შესაბამისი გახლეჩილი დისკრეტული ანალოგი წონებით.

კერძოდ, უწყვეტი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად

$$\bar{\omega}_\tau = \{t_k = k\tau, k = 0, 1, \dots, N, N\tau = T\},$$

ზადის ყოველ ბიჯზე იხსნება შემდეგი ორი სისტემა:

$$\frac{u_1^{k+1} - u_1^k}{\tau} = \sigma_1(v_1^{k+1}u_{1\bar{x}}^{k+1})_x + (1 - \sigma_1)(v_1^k u_{1\bar{x}}^k)_x,$$

$$\frac{v_1^{k+1} - v_1^k}{\tau} = -v_1^{k+1} + g_1(v_1^k u_{1\bar{x}}^k),$$

$$u_1(x_i, y_j, t_k) = u_2(x_i, y_j, t_{k+1}), \quad u_1(x_i, y_j, 0) = U_0(x_i, y_j), \quad (0.18)$$

$$(x_i, y_j) \in \bar{\omega}_h, \quad v_1(x_i, y_j, 0) = V_{01}(x, y), \quad (x_i, y_j) \in \bar{\omega}_{1h},$$

$$u_1(0, y_j, t_{k+1}) = 0, \quad u_1(1, y_j, t_{k+1}) = 0, \quad j = 0, 1, 2, \dots, M,$$

$$k = 0, 1, \dots, N - 1;$$

$$\frac{u_2^{k+1} - u_2^k}{\tau} = \sigma_2(v_2^{k+1}u_{2\bar{y}}^{k+1})_y + (1 - \sigma_2)(v_2^k u_{2\bar{y}}^k)_y,$$

$$\frac{v_2^{k+1} - v_2^k}{\tau} = -v_2^{k+1} + g_2(v_2^k u_{2\bar{y}}^k),$$

$$u_2(x_i, y_j, t_k) = u_1(x_i, y_j, t_{k+1}), \quad (x_i, y_j) \in \bar{\omega}_h, \quad (0.19)$$

$$v_2(x_i, y_j, 0) = V_{02}(x, y), \quad (x_i, y_j) \in \bar{\omega}_{2h},$$

$$u_2(x_i, 0, t_{k+1}) = 0, \quad u_2(x_i, 1, t_{k+1}) = 0, \quad i = 0, 1, \dots, M,$$

$$k = 0, 1, \dots, N - 1.$$

(0.18), (0.19) გახლეჩილ ამოცანებში $\sigma_1, \sigma_2 \in]0,1[$; u_1 და u_2 ფუნქციები განსაზღვრულია $\bar{\omega}_{h\tau}$ ბადეზე, v_1 და v_2 კი $\bar{\omega}_{1h\tau}$ და $\bar{\omega}_{2h\tau}$ ბადეებზე შესაბამისად, სადაც

$$\begin{aligned}\bar{\omega}_{h\tau} &= \bar{\omega}_h \times \omega_\tau, & \bar{\omega}_{\alpha h\tau} &= \bar{\omega}_{\alpha h} \times \omega_\tau, & \alpha &= 1,2, \\ \bar{\omega}_h &= \{(x_i, y_j) = (ih, jh), & i, j &= 0,1, \dots, M, & Mh &= 1\}, \\ \bar{\omega}_{1h} &= \{(x_i, y_j) = ((i - 1/2)h, jh), & i, j &= 1, \dots, M, & Mh &= 1\}, \\ \bar{\omega}_{2h} &= \{(x_i, y_j) = (ih, (j - 1/2)h), & i, j &= 1, \dots, M, & Mh &= 1\}, \\ \bar{\omega}_\tau &= \{t_k = k\tau, & k &= 0,1, \dots, N, & N\tau &= T\}.\end{aligned}$$

იმისათვის, რომ ვიპოვოთ საწყისი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნების მნიშვნელობები $t = t_k$ შრის წერტილებში, საჭიროა დროის ყოველ შუალედში ჯერ ამოვხსნათ ამოცანა (u_1, v_1) -ს მიმართ, ხოლო შემდეგ (u_2, v_2) -ს მიმართ, ამასთან (0.19) ამოცანაში საწყის პირობას ვსაზღვრავთ (0.18) ამოცანის ამონახსნის მიხედვით. საწყისი ამოცანის საბოლოო მიახლოებით ამონახსნს წარმოადგენს (u_2, v_1, v_2) .

აღნიშნული მეთოდი არის მიმდევრობითი ტიპის დეკომპოზიციის მეთოდი.

მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე პარალელური ტიპის დეკომპოზიციის მეთოდი, ანუ დროის ყოველ შუალედში პარალელურად ამოიხსნას ამოცანა როგორც (u_1, v_1) -ს, ისე (u_2, v_2) -ს მიმართ და საბოლოო ამონახსნად გამოცხადდეს მათი საშუალო არითმეტიკული.

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 2.4.1. (0.18), (0.19) სხვაობიანი სქემის აპროქსიმაცია (0.12)-(0.14) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(\tau + h^2)$ და იგი კრებადია (0.12)-(0.14) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

აგებული გამოთვლითი (0.18), (0.19) ალგორითმების საფუძველზე ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი და მოცემულია შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციები.

მესამე თავში შესწავლილია ცვალებადი მიმართულების სქემის მდგრადობისა და კრებადობის საკითხები (0.12), (0.13) სისტემის შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში ორგანოზომილებიანი (0.12), (0.13) სისტემისათვის აგებულია ცვალებადი მიმართულებების სხვაობიანი სქემის ერთი ვარიანტი. დამტკიცებულია აგებული სქემის აბსოლუტურად მდგრადობის და კრებადობის თეორემები. მოცემულია მიახლოებითი ამონახსნების აგების ალგორითმების აღწერა და ჩატარებული მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტის გრაფიკული ილუსტრაციები.

გავეცნოთ მესამე თავის შინაარსს უფრო დაწვრილებით.

არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი განტოლებათა (0.12),(0.13) სისტემისათვის განხილულია შემდეგი ამოცანა:

$$\begin{aligned} U(x, y, 0) &= U_0(x, y), & V_1(x, y, 0) &= V_{10}(x, y), \\ V_2(x, y, 0) &= V_{20}(x, y), & (x, y) &\in \bar{\Omega}, \\ U(x, y, t) &= 0, & (x, y, t) &\in \partial\Omega \times [0, T], \end{aligned} \quad (0.20)$$

სადაც $\Omega = (0,1) \times (0,1)$, $\partial\Omega$ არის Ω -ს საზღვარი $\{0,1\}$, T ფიქსირებული დადებითი რიცხვია, $U_0, V_{\alpha 0}, g_\alpha$ არიან მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

$$\begin{aligned} V_{\alpha 0}(x) &\geq \delta_0 \geq 0, & x &\in \bar{\Omega}, \\ \gamma_0 &< g_\alpha(\xi_\alpha) \leq G_0, & |g'_\alpha(\xi_\alpha)| &\leq G_1, & \xi_\alpha &\in R, & \alpha &= 1,2, \end{aligned} \quad (0.21)$$

სადაც $\delta_0, \gamma_0, G_0, G_1$ დადებითი მუდმივებია.

ჩამოყალიბებული (0.12), (0.13), (0.20), (0.21) ამოცანისათვის აგებულია ცვალებადი მიმართულების შემდეგი სხვაობიანი სქემა:

$$u_{1t} = (\hat{v}_1 \hat{u}_{1\bar{x}})_x + (v_2 u_{2\bar{y}})_y, \quad (0.22)$$

$$u_{2t} = (\hat{v}_1 \hat{u}_{1\bar{x}})_x + (\hat{v}_2 \hat{u}_{2\bar{y}})_y, \quad (0.23)$$

$$v_{1t} = -\hat{v}_1 + g_1(v_1 u_{1\bar{x}}), \quad (0.24)$$

$$v_{2t} = -\hat{v}_2 + g_2(v_2 u_{2\bar{y}}), \quad (0.25)$$

$$u_1(x, y, 0) = u_2(x, y, 0) = U_0(x, y), \quad (x, y) \in \bar{\omega}_h, \quad (0.26)$$

$$v_1(x, y, 0) = V_{10}(x, y), \quad (x, y) \in \bar{\omega}_{1h}, \quad (0.27)$$

$$v_2(x, y, 0) = V_{20}(x, y), \quad (x, y) \in \bar{\omega}_{2h},$$

$$u_1(x, y, t) = u_2(x, y, t) = 0, \quad (x, y, t) \in \gamma_h \times \omega_\tau, \quad (0.28)$$

სადაც (0.22)-(0.28) ტოლობებში დისკრეტული u_1 და u_2 ფუნქციები განსაზღვრულია მთელკვანძებიან $\bar{\omega}_{h\tau}$ ბადეზე, ხოლო v_α ფუნქცია კი შუაკვანძებიან $\bar{\omega}_{\alpha h\tau}$ ბადეზე ($\alpha = 1, 2$).

სამართლიანია შემდეგი დებულებები:

თეორემა 3.3.1. თუ (0.12), (0.13), (0.20), (0.21) დიფერენციალურ ამოცანას გააჩნია საკმაოდ გლუვი ამონახსნი U, V_1, V_2 , მაშინ არსებობს $\tau_0 > 0$, ისეთი რომ ყოველი $\tau < \tau_0$ სიდიდისთვის (0.24) - (0.30) სქემა აბსოლიტურად მდგრადია საწყისი პირობების მიმართ.

თეორემა 3.4.1. თუ (0.12), (0.13), (0.20), (0.21) დიფერენციალურ ამოცანას გააჩნია საკმაოდ გლუვი ამონახსნი U, V_1, V_2 , მაშინ არსებობს $\tau_0 > 0$, ისეთი რომ ყოველი $\tau < \tau_0$ სიდიდისთვის (0.24) - (0.30) სქემა კრებადია როცა, $\tau \rightarrow 0, h \rightarrow 0$, და სამართლიანია შემდეგი შეფასება

$$\|u_{1\bar{x}} - U_{1\bar{x}}\|_1 + \|u_{2\bar{y}} - U_{2\bar{y}}\|_2 + \|v_1 - V_1\|_1 + \|v_2 - V_2\|_2 = O(\tau + h^2).$$

აგებული სქემის მიხედვით ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი. მათი შედეგები მოცემულია გრაფიკებისა და ცხრილების საშუალებით.

დისერტაციის ბოლოში მოყვანილია დანართი, სადაც მოცემული და აღწერილია სხვადასხვა პროგრამული კოდების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ჩატარებულია გათვლები.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში [31, 41-45, 49, 61-66] და მოხსენებული იყო რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოცენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარების სხდომებზე (2008-2014 წწ.) [41-43, 49, 62, 63, 66], საქართველოს მათემატიკოსთა მეხუთე ყრილობაზე (ბათუმი, 2009) [61], საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV და VI საერთაშორისო კონფერენციებზე (ბათუმი, 2013 და 2015 წწ.) [31, 64], შედეგები ასევე მოხსენებულ იქნა WSEAS-ის მე-15 საერთაშორისო კონფერენციაზე [44], რომელიც ჩატარდა საბერძნეთის დედაქალაქ ათენში 2010 წლის 29-31 დეკემბერს.

თავი I

ერთგანზომილებიანი მოდელი და მისი მიახლოებითი ამოხსნა

ამ თავში მოცემულია ერთი დიფუზიური მოდელის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა, რომელიც წარმოიშვება სხვადასხვა რეალური პროცესის მათემატიკური მოდელირებისას. ერთ-ერთ ასეთ პროცესს წარმოადგენს მცენარეთა ფოთლებში ძარღვების ფორმირება, რომლის მათემატიკური მოდელი შემოთავაზებულ იქნა ინგლისელი მეცნიერის ჯ. მიჩისონის მიერ [57].

არაწრფივ კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა შესაბამისი სისტემისათვის გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანის დისკრეტული ანალოგების კრებადობა ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ და C_h ნორმების აზრით.

მოცემულია რიცხვითი ამოხსნის ალგორითმები. მოყვანილია მრავალი ტესტური გათვლის გრაფიკული და ცხრილური ილუსტრაცია და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი.

§1. ამოცანის დასმა

მიჩისონის მიერ შემოთავაზებული დიფუზიური მოდელის [57] შესაბამისი ერთგანზომილებიანი ანალოგისათვის [9] $\bar{Q} = [0,1] \times [0,T]$ არეში განვიხილოთ შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right), \quad (1.1.1)$$

$$\frac{\partial V}{\partial t} = -V + g \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right). \quad (1.1.2)$$

$$U(0; t) = 0, \quad V \frac{\partial U}{\partial x} \Big|_{x=1} = \psi, \quad t \in [0, T], \quad (1.1.3)$$

$$U(x; 0) = U_0(x), \quad V(x; 0) = V_0(x) \geq \delta_0, \quad x \in [0, 1],$$

სადაც U_0, V_0, g მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციებია, ამასთან $g_0 \leq g(\xi) \leq G_0$; $T, g_0, G_0, \delta_0, \psi$ - მოცემული დადებითი მუდმივებია.

(1.1.1)-(1.1.3) ამოცანის ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის შესახებ თეორემები დამტკიცებულია [9]-ში. დისერტაციის შესავალშიც აღინიშნა, რომ ამისათვის [9]-ის ავტორებმა გამოიყენეს ცვლადთა გარდაქმნა და იტერაციული სქემა.

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას $W = V \frac{\partial U}{\partial x}$, (1.1.1)-(1.1.3) ამოცანა მიიღებს სახეს:

$$\frac{\partial W}{\partial t} = V \frac{\partial^2 W}{\partial x^2} + \left[\frac{g(W)}{V} - 1 \right] W, \quad (1.1.4)$$

$$\frac{\partial V}{\partial t} = -V + g(W), \quad (1.1.5)$$

$$\frac{\partial W}{\partial x} \Big|_{x=0} = 0, \quad W(1; t) = \psi,$$

$$W(x; 0) = W_0(x) = V_0(x) \frac{dU_0(x)}{dx}, \quad V(x; 0) = V_0(x). \quad (1.1.6)$$

შესაბამისი იტერაციული სქემაა:

$$\frac{\partial W^n}{\partial t} = V^{n-1} \frac{\partial^2 W^n}{\partial x^2} + \left[\frac{g(W^{n-1})}{V^{n-1}} - 1 \right] W^{n-1}, \quad (1.1.7)$$

$$\frac{\partial V^n}{\partial t} = -V^n + g(W^{n-1}),$$

$$\frac{\partial W^{n-1}}{\partial x} \Big|_{x=0} = 0, \quad W^n(1, t) = \psi,$$

$$W^n(x, 0) = W_0(x), \quad V^n(x, 0) = V_0(x). \quad (1.1.8)$$

$$n = 1, 2, \dots$$

(1.1.7)-(1.1.8) იტერაციული პროცესის შესაბამისი დისკრეტული ანალოგები ადვილად რეალიზებადია კომპიუტერზე, რადგან შეიცავს ორ დამოუკიდებელ წრფივ განტოლებას.

აღნიშნოთ, რომ (1.1.1)-(1.1.3) სისტემის და მისი მრავალგანზომილებიანი ანალოგების შესწავლასა და მიახლოებითი ამოხსნის საკთხებს ეძღვნება მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა (იხ., მაგალითად, [9, 11, 20-23, 25, 37, 39-45, 49, 58, 60-66, 69, 70, 76-78, 84, 85] და მათში მოყვანილი ლიტერატურული ციტირებები).

§ 2. ნახევრად-დისკრეტული სქემა და მისი კრებადობა

ამ პარაგრაფში მოცემულია ერთგანზომილებიანი (1.1.1)-(1.1.3) მოდელის შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული სქემა და შესწავლილია მისი კრებადობა ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ და C_h სივრცეთა ნორმების აზრით.

შემოვიტანოთ თანაბარი ბადე $[0,1]$ არეზე, კვანძითი წერტილებით $x_i = ih$, $i = 0, 1, \dots, M$, და $h = 1/M$ ბიჯით, საზღვრები კი განსაზღვრულია $i = 0$ და $i = M$ წერტილებით. ნახევრად-დისკრეტული მიახლოება (x_i, t) წერტილში აღვნიშნოთ $u_i = u_i(x)$, $v_i = v_i(x)$ ბადური ფუნქციებით, ხოლო ამოცანის ზუსტი ამონახსნი იმავე წერტილში კი $U_i = U_i(t)$ და $V_i = V_i(t)$ ფუნქციებით, ასევე შემოვიღოთ შემდეგი ცნობილი აღნიშვნები:

$$(u, v) = \sum_{i=1}^{M-1} u_i v_i h, \quad (u, v] = \sum_{i=1}^M u_i v_i h,$$

$$\|u\| = (u, u)^{\frac{1}{2}}, \quad \|u\|] = (u, u]]^{\frac{1}{2}},$$

$$\|u\|_{C_h} = \max_i |u_i|,$$

$$u_{x,i}(t) = \frac{u_{i+1}(t) - u_i(t)}{h}, \quad u_{\bar{x},i}(t) = \frac{u_i(t) - u_{i-1}(t)}{h}.$$

შევუსაბამოთ (1.1.1)-(1.1.3) ამოცანას შემდეგი ნახევრად-დისკრეტული სქემა:

$$\frac{du}{dt} - (vu_{\bar{x}})_x = 0, \quad (1.2.1)$$

$$\frac{dv}{dt} = -v + g(vu_{\bar{x}}), \quad (1.2.2)$$

$$u(0, t) = 0, \quad v_M u_{\bar{x}, M} = \psi, \quad t \in [0, T], \quad (1.2.3)$$

$$u(x, 0) = u_0(x), \quad x \in \bar{\omega}_h, \quad v(x, 0) = v_0(x), \quad x \in \omega_h.$$

(1.2.1)-(1.2.3) ტოლობებში $u(t)$ და $v(t)$ დისკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია $\bar{\omega}_h$ ბადეზე.

არ არის ძნელი იმის ჩვენება, რომ (1.2.1)-(1.2.3) სქემის აპროქსიმაცია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(h)$ რიგის.

(1.2.1) გავამრავლოთ სკალარულად u , ხოლო (1.2.2) v ფუნქციებზე. თუ გამოვიყენებთ გრინის პირველ სხვაობიან ფორმულას, ჩადგმის თეორემების სხვაობიან ანალოგებს [81], ε -უტოლობას და v ფუნქციის შემოსაზღვრულობას, რომელიც გამომდინარეობს (1.2.2)-დან და რომლის შესახებაც ორგანო-ზომილებიან შემთხვევაში მესამე თავში არის ყურადღება გამახვილებული, მარტივი გარდაქმნების შედეგად მივიღებთ დამოკიდებულებას

$$\frac{d}{dt} (\|u\|^2 + \|v\|^2) \leq \|u\|^2 + \|v\|^2 + C.$$

ამ პარაგრაფში და შემდგომშიც C სიდიდე აღნიშნავს სხვადასხვა დადებითი მუდმივს, რომელიც არ არის დამოკიდებული h -ზე.

ბოლო უტოლობიდან გრონუოლის ლემის თანახმად, მივიღებთ

$$\max_{t \in [0; T]} (\|u\|^2 + \|v\|^2) \leq C,$$

რომელიც უზრუნველყოფს (1.2.1)-(1.2.3) ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის კოშის ამოცანის გლობალურ ამოხსნადობას $[0, T]$ სეგმენტზე.

(1.1.1)-(1.1.3) ამოცანის ზუსტი U და V ამონახსნებისთვის გვაქვს შემდეგი ნახევრად-დისკრეტული სქემა:

$$\frac{dU}{dt} = (VU_{\bar{x}})_x + \varphi_1, \quad (1.2.4)$$

$$\frac{dV}{dt} = -V + g(VU_{\bar{x}}) + \varphi_2, \quad (1.2.5)$$

$$U(0; t) = 0, \quad \psi = V_M U_{\bar{x}, M} + \chi, \quad t \in [0, T], \quad (1.2.6)$$

$$U(x, 0) = U_0(x), \quad x \in \bar{\omega}_h, \quad V(x, 0) = V_0(x), \quad x \in \omega_h,$$

სადაც $\varphi_k = O(h)$, $k = 1, 2$; $\chi = O(h)$.

ცდომილებებისათვის $z = u - U$, $s = v - V$ (1.2.4), (1.2.5) ტოლობებიდან ვღებულობთ:

$$\frac{dz}{dt} = (uv_{\bar{x}} - UV_{\bar{x}})_x + \varphi_1, \quad (1.2.7)$$

$$\frac{ds}{dt} = -v + V + g(vu_{\bar{x}}) - g(VU_{\bar{x}}) + \varphi_2, \quad (1.2.8)$$

$$\begin{aligned} z(0; t) &= 0, \quad v_M u_{\bar{x}, M} - V_M U_{\bar{x}, M} = \chi, \quad t \in [0, T], \\ z(x, 0) &= 0, \quad x \in \bar{\omega}_h, \quad s(x, 0) = 0, \quad x \in \omega_h. \end{aligned} \quad (1.2.9)$$

გავამრავლოთ (1.2.7) დამოკიდებულება სკალარულად z -ზე, ხოლო (1.2.8) კი s -ზე, მარტივი გარდაქმნების შედეგად მივიღებთ

$$\|z\|_{L_\infty(0, T, L_2(\bar{\omega}_h))}^2 + \|s\|_{L_\infty(0, T, L_2(\omega_{1h}))}^2 + \int_0^T \|z_{\bar{x}}\|^2 dt \sim O(h^2).$$

ამრიგად, სამართლიანია შედეგი დებულება.

თეორემა 1.2.1. ნახევრად-დისკრეტული (1.2.1)-(1.2.3) სქემის $(u(t), v(t))$ ამონახსნი კრებადია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის (U, V) ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ სივრცის ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს და არის $O(h)$ -ის ტოლი.

შენიშვნა 1.2.1. თუ $v(t)$ დისკრეტულ ფუნქციას განვსაზღვრავთ შემდეგ ბადეზე

$$\omega_h^* = \{x_i = (i - 1/2)h, \quad i = 1, \dots, M\}.$$

და სასაზღვრო პირობის აპროქსიმაციას, როცა $x = 1$, მოვახდენთ შემდეგნაირად

$$v_{M-1/2}u_{\bar{x},M} + \frac{h}{2}\left(\frac{du}{dt}\right)_M = \psi, \quad (1.2.10)$$

მივიღებთ შემდეგ ნახევრად-დისკრეტულ სქემას:

$$\frac{du}{dt} - (vu_{\bar{x}})_x = 0, \quad (1.2.11)$$

$$\frac{dv}{dt} = -v + g(vu_{\bar{x}}), \quad (1.2.12)$$

$$u(0, t) = 0, \quad v_{M-1/2}u_{\bar{x},M} + \frac{h}{2}\left(\frac{du}{dt}\right)_M = \psi, \quad t \in [0, T], \quad (1.2.13)$$

$$u(x, 0) = U_0(x), \quad x \in \bar{\omega}_h, \quad v(x, 0) = V_0(x), \quad x \in \omega_h^*,$$

რომლის აპროქსიმაცია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(h^2)$ რიგის და შესაბამისად, სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.2.2. (1.2.11)-(1.2.13) ნახევრად-დისკრეტული სქემის აპროქსიმაცია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(h^2)$ და იგი კრებადია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ სივრცის ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

ახლა დავამტკიცოთ (1.2.1)-(1.2.3) ამოცანის ამონახსნის კრებადობა უფრო ძლიერ ნორმაში. როცა $x = 1$, სასაზღვრო პირობის აპროქსიმაცია მოვახდინოთ (1.2.10) ფორმულის მიხედვით. (1.2.8) განტოლება ვაინტეგრირებთ t -თი, მაშინ მარტივი გარდაქმნების შედეგად, თუ გამოვიყენებთ ჩადგმის თეორემის სხვაობიან ანალოგს [81], მივიღებთ

$$\max_t |s_{i-1/2}| \leq \frac{C}{h} \int_0^t \|z_{\bar{x}}\| d\tau + \int_0^t |\varphi_2| d\tau \sim O(h).$$

(1.2.7) გავამრავლოთ სკალარულად $\frac{dz}{dt}$ -ზე, მივიღებთ შეფასებას

$$\left\| \frac{dz}{dt} \right\|^2 + \frac{1}{2} \frac{d}{dt} (v, z_{\bar{x}}^2) \leq \frac{1}{2} \left(\frac{dv}{dt}, z_{\bar{x}}^2 \right) + (\varphi_1, z_t).$$

აქედან თუ გამოვიყენებთ გრონუოლის ლემასა და ჩადგმის თეორემის სხვაობიან ანალოგს [81], მივიღებთ შემდეგი თეორემის სამართლიანობას.

თეორემა 1.2.3. (1.2.1)-(1.2.3) ამოცანის ამონახსნი კრებადია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა C_h სივრცის ნორმის აზრით და კრებადობის რიგი არის $O(h)$ -ის ტოლი.

§ 3. ერთი არაცხადი სხვაობიანი სქემა

ამ პარაგრაფში შესწავლილია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის შესაბამისი კიდევ ერთი დისკრეტული ანალოგი, კერძოდ, მოცემული ამოცანისთვის აგებულია არაცხადი სხვაობიანი სქემა და დამტკიცებულია მისი თანაბარად კრებადობა ბადურ ფუნქციათა C_h სივრცის ნორმის აზრით.

გამოვიყენოთ ცნობილი აღნიშვნები და კვლავ შემოვიტანოთ $\bar{\omega}_{h\tau} = \bar{\omega}_h \times \omega_\tau$ ბადე $\bar{Q} = [0,1] \times [0, T]$ არეზე, სადაც

$$\bar{\omega}_h = \left\{ x_i = ih, \quad i = 0, 1, \dots, M; \quad h = \frac{1}{M} \right\},$$

$$\omega_\tau = \left\{ t_j = j\tau, \quad j = 0, 1, \dots, N, \quad \tau = \frac{T}{N} \right\},$$

და შემდეგი სკალარული ნამრავლები და ნორმები:

$$(y, z) = \sum_{i=1}^{M-1} y_i z_i h, \quad (y, z] = \sum_{i=1}^M y_i z_i h,$$

$$\|y\| = (y, y)^{1/2}, \quad \|y\| = (y, y]^{1/2}.$$

აქ, ისევე როგორც ადრე, h არის ბიჯი x -ის მიმართულებით, ხოლო τ კი დროითი ბიჯი $[0, T]$ შუალედზე.

შემოვიღოთ აგრეთვე შემდეგი ცნობილი აღნიშვნები:

$$y = y_i^j = y(x_i, t_j), \quad \hat{y} = y_i^{j+1} = y(x_i, t_{j+1}),$$

$$y_t = \frac{\hat{y} - y}{\tau}, \quad y_{\bar{x}} = \frac{y_i^j - y_{i-1}^j}{h}, \quad y_x = \frac{y_{i+1}^j - y_i^j}{h},$$

$$y_{\bar{x}x} = \frac{y_{i+1}^j - 2y_i^j + y_{i-1}^j}{h^2},$$

შევუსაბამოთ (1.1.1)-(1.1.3) ამოცანას სხვაობიანი სქემა:

$$u_t = (\hat{v}\hat{u}_{\bar{x}})_x, \quad (1.3.1)$$

$$v_t = -\hat{v} + g(\hat{v}\hat{u}_{\bar{x}}), \quad (1.3.2)$$

$$u(x, 0) = U_0(x), \quad v(x, 0) = V_0(x), \quad (1.3.3)$$

$$u(0, t) = 0, \quad v_M u_{\bar{x}, M} = \psi.$$

აქ u და v ფუნქციები განსაზღვრულია $\bar{\omega}_{h\tau}$ ბადეზე.

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.3.1. (1.3.1)-(1.3.3) სხვაობიანი სქემის აპროქსიმაცია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(\tau + h)$ და იგი კრებადია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა C_h სივრცის ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

დამტკიცება. (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის ნაცვლად (1.3.1)-(1.3.3) ამოცანის ამოხსნისას ვუშვებთ ცდომილებებს $z = u - U$, $s = v - V$, რომლებიც აკმაყოფილებს პირობებს:

$$z_t = (\hat{v}\hat{u}_{\bar{x}} - \hat{V}\hat{U}_{\bar{x}})_x + \hat{\phi}_1 \quad (1.3.4)$$

$$s_t = -\hat{s} + g(\hat{v}\hat{u}_{\bar{x}}) - g(\hat{V}\hat{U}_{\bar{x}}) + \hat{\phi}_2, \quad (1.3.5)$$

$$z(0; t) = 0, \quad v_M u_{\bar{x}, M} - V_M U_{\bar{x}, M} = \chi, \quad t \in [0, T], \quad (1.3.6)$$

$$z(x, 0) = 0, \quad x \in \bar{\omega}_h, \quad s(x, 0) = 0, \quad x \in \omega_h,$$

სადაც

$$\phi_1 = U_t - (\hat{V}\hat{U}_{\bar{x}})_x = O(\tau + h),$$

$$\phi_2 = -V_t - \hat{V} + g(\hat{V}\hat{U}_{\bar{x}}) = O(\tau + h),$$

$$\chi = O(h).$$

შემოვიღოთ აღნიშვნა $\Lambda = \nu u_{\bar{x}} - V U_{\bar{x}}$ და (1.3.4) გავამრავლოთ სკალარულად $2\tau\Lambda_{xt}$ -ზე, მივიღებთ

$$(z_t, 2\tau\Lambda_{xt}) = (\widehat{\Lambda}_x, 2\tau\Lambda_{xt}) + (\widehat{\varphi}_1, 2\tau\Lambda_{xt}).$$

უკანასკნელ ტოლობაში, თუ გამოვიყენებთ გრინის პირველ სხვაობიან ფორმულას [81] და გავითვალისწინებთ (1.3.5) და (1.3.6) ტოლობებს, მარტივი გარდაქმნების შედეგად მივიღებთ

$$\begin{aligned} & 2\tau(z_{t\bar{x}}, \widehat{\nu}z_{t\bar{x}}] + 2\tau(z_{t\bar{x}}, \nu_t z_{\bar{x}}] + 2\tau(z_{t\bar{x}}, \widehat{s}U_{\bar{x}}] + \\ & + 2\tau(z_{t\bar{x}}, g'(\xi)(\widehat{\nu}\widehat{z}_{\bar{x}} + \widehat{s}U_{\bar{x}})U_{\bar{x}}] - 2\tau(z_{t\bar{x}}, \widehat{s}U_{\bar{x}}] + \\ & + 2\tau(z_{t\bar{x}}, \varphi_2 U_{\bar{x}}] + 2\tau(\widehat{\Lambda}_x, \Lambda_{xt}) + 2\tau(\widehat{\varphi}_1, \Lambda_{xt}) = 2\tau z_{t,M} \chi_t. \end{aligned}$$

ბოლო ტოლობაში, თუ გამოვიყენებთ კოშის უტოლობას, ε - უტოლობას და ავჯამავთ j -ს მიმართ მიღებულ დამოკიდებულებას, მივიღებთ შეფასებას

$$\|\Lambda_x^N\|^2 + \|z_{\bar{x}}^N\|^2 \leq \sum_{j=0}^{N-1} \tau C (\|\Lambda_x\|^2 + \|z_{\bar{x}}\|^2 + |\chi_t|^2 + \|\varphi_1\|^2 + \|\varphi_2\|^2) \quad (1.3.7)$$

აქ C -ით აღნიშნულია დადებითი კონსტანტა, რომელიც არ არის დამოკიდებული τ და h ბიჯებზე.

თუ (1.3.5) ტოლობაში გამოვიყენებთ ჩადგმის თეორემის სხვაობიან ანალოგს [81]

$$\|R_c\|^2 \leq C(R_M^2 + \|R_x\|^2),$$

რომელიც სამართლიანია ნებისმიერი ბადური ფუნქციისათვის, მივიღებთ შემდეგ უტოლობას

$$|\widehat{s}| \leq |s| + \tau C \sqrt{\Lambda_M^2 + \Lambda_x^2} + \tau |\varphi_2|. \quad (1.3.8)$$

(1.3.7) და (1.3.8) დამოკიდებულებებიდან გამომდინარეობს **თეორემა 1.3.1-ის** სამართლიანობა.

შენიშვნა 1.3.1. თუ ν დისკრეტულ ფუნქციას განვსაზღვრავთ შემდეგ ბადეზე

$$\omega_h^* = \{x_i = (i - 1/2)h, \quad i = 1, \dots, M\}$$

და სასაზღვრო პირობის აპროქსიმაციას, როცა $x = 1$, მოვახდენთ შემდეგნაირად

$$v_{M-1/2}u_{\bar{x},M} + \frac{h}{2}u_{t,M} = \psi ,$$

მივიღებთ შემდეგ სხვაობიან სქემას:

$$u_t = (\hat{v}\hat{u}_{\bar{x}})_x , \quad (1.3.9)$$

$$v_t = -\hat{v} + g(\hat{v}\hat{u}_{\bar{x}}) , \quad (1.3.10)$$

$$u(x, 0) = U_0(x), \quad v(x, 0) = V_0(x) , \quad (1.3.11)$$

$$u(0, t) = 0, \quad v_{M-1/2}u_{\bar{x},M} + \frac{h}{2}u_{t,M} = \psi .$$

(1.3.9)-(1.3.11) აპროქსიმაცია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(\tau + h^2)$ რიგის და შესაბამისად სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.3.2. (1.3.9)-(1.3.11) სხვაობიანი სქემის აპროქსიმაცია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(\tau + h^2)$ და იგი კრებადია (1.1.1)-(1.1.3) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა C_h სივრცის ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

ასევე მიჩისონის მიერ შემოთავაზებული დიფუზიური მოდელის [57] ერთგანზომილებიანი (1.1.1), (1.1.2) ანალოგის [9] შესაბამისი პირველი სასაზღვრო ამოცანისათვის აგებულია სხვაობიანი სქემა და შესწავლილია მისი კრებადობის საკითხი ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ სივრცის ნორმის აზრით.

არაწრფივ კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალურ განტოლებათა (1.1.1), (1.1.2) სისტემისათვის $\bar{Q} = [0,1] \times [0,T]$ არეში განვიხილოთ შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა:

$$U(0, t) = U(1, t) = 0, \quad t \in [0, T] , \quad (1.3.12)$$

$$U(x, 0) = U_0(x) , V(x, 0) = V_0(x), \quad x \in [0,1].$$

ავაგოთ (1.1.1), (1.1.2), (1.3.12) ამოცანის შესაბამისი სხვაობიანი სქემა სტანდარტული აღნიშვნების გათვალისწინებით [81] :

$$u_t = (vu_{\bar{x}})_x , \quad v_t = -v + g(vu_{\bar{x}}) , \quad (1.3.13)$$

$$u(0, t) = u(1, t) = 0, \quad t \in \omega_\tau, \quad (1.3.14)$$

$$u(x, 0) = U_0(x), \quad x \in \omega_h, \quad v(x, 0) = V_0(x), \quad x \in \omega_h^*$$

(1.3.13) ტოლობებში u ბადური ფუნქცია განსაზღვრულია $\omega_{h\tau}$ ბადეზე, v კი - $\omega_{h\tau}^*$ ბადეზე.

(1.3.13) სისტემის პირველი განტოლება გავამრავლოთ სკალარულად u -ზე, ხოლო მეორე v -ზე, მარტივი გარდაქმნების შემდეგ ვღებულობთ შეფასებას, რომელიც ბრაუერის ლემის (უძრავი წერტილის შესახებ) გამოყენებით უზრუნველყოფს (1.3.13), (1.3.14) არაწრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნადობას. შევნიშნოთ, რომ აგრეთვე ადვილი დასამტკიცებელია თანაფარდობა $\sigma_0 < v < V_0$.

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.3.3. (1.3.13), (1.3.14) სხვაობიანი სქემის ამონახსნი $\{u, v\}$ კრებადია (1.1.1), (1.1.2), (1.3.12) ამოცანის $\{U, V\}$ ამონახსნისაკენ $O(\tau + h^2)$ რიგით ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ სივრცის ნორმის აზრით.

დამტკიცება. (1.1.1), (1.1.2), (1.3.12) ამოცანის ნაცვლად (1.3.13), (1.3.14) ამოცანის ამოხსნისას ვუშვებთ ცდომილებებს $z = u - U$, $s = v - V$, რომლებიც აკმაყოფილებს პირობებს:

$$z_t = (vu_{\bar{x}} - VU_{\bar{x}})_x + \varphi_1, \quad (1.3.15)$$

$$s_t = -s + g(vu_{\bar{x}}) - g(VU_{\bar{x}}) + \varphi_2,$$

$$z(0, t) = z(1, t) = 0, \quad t \in \omega_\tau \quad (1.3.16)$$

$$z(x, 0) = 0, \quad x \in \omega_h, \quad s(x, 0) = 0, \quad x \in \omega_h^*,$$

სადაც

$$\varphi_1 = U_t + (VU_{\bar{x}})_x = O(\tau + h^2),$$

$$\varphi_2 = -V_t - V + g(VU_{\bar{x}}) = O(\tau + h^2).$$

თუ (1.3.15) სისტემის პირველ განტოლებას გავამრავლებთ სკალარულად z ფუნქციაზე, მეორეს კი s ფუნქციაზე, რამდენიმე მარტივი გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ

$$(z_t, z) + (s_t, s) \leq C \|s\|^2 + (\varphi_1, z) + (\varphi_2, s),$$

საიდანაც გამომდინარეობს უტოლობა

$$\|z(t)\|^2 + \|s(t)\|^2 \leq C [\|\varphi_1\|^2 + \|\varphi_2\|^2].$$

ამით თეორემა 1.3.3 დამტკიცებულია.

§ 4. იტერაციულ მეთოდზე დაფუძნებული სხვაობიანი სქემის შესახებ

მოცემულ პარაგრაფში აგებულია (1.1.7), (1.1.8) იტერაციული პროცესის შესაბამისი სხვაობიანი სქემა და შესწავლილია მისი კრებადობის საკითხი ბადურ ფუნქციათა C_h სივრცის ნორმის აზრით.

ავაგოთ (1.1.7)-(1.1.8) ამოცანის შესაბამისი სხვაობიანი სქემა სტანდარტული აღნიშვნების გათვალისწინებით [81]:

$$w_t^n = v^{n-1} + \left[\frac{g(w^{n-1})}{v^{n-1}} - 1 \right] w^{n-1}, \quad (1.4.1)$$

$$v_t^n = -v^n + g(w^{n-1}), \quad (1.4.2)$$

$$w_{x,0}^n = 0, \quad w^n(1, t) = \psi, \quad (1.4.3)$$

$$w^n|_{t=0} = W_0(x), \quad v^n|_{t=0} = V_0(x), \quad n = 1, 2, \dots$$

(1.4.1)-(1.4.3) იტერაციული ალგორითმი ადვილად რეალიზებადია კომპიუტერზე, რადგან შეიცავს ორ დამოუკიდებელ წრფივ განტოლებას. მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად საჭიროა დროის ყოველ $t = t_{j+1}$ შრეზე ამოიხსნას (1.4.2) განტოლება v ფუნქციის მიმართ, შემდეგ კი (1.4.1)-დან ვიპოვოთ w ფუნქცია სამდიაგონალური მატრიცის მქონე წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნით.

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.4.1. (1.4.1)-(1.4.3) ამოცანის w^n, v^n ამონახსნი მიისწრაფვის (1.1.7), (1.1.8) ამოცანის W, V ამონახსნისაკენ, როცა $\tau \rightarrow 0, h \rightarrow 0, n \rightarrow \infty$.

§5. დიფუზიური მოდელის პარაბოლური რეგულარიზაცია

მოცემულ პარაგრაფში შესწავლილია პირველ პარაგრაფში განხილული ამოცანის პარაბოლური რეგულარიზაცია [49,66].

აღნიშნულ ამოცანას აქვს სახე:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right) + f(x, t), \quad (x, t) \in \Omega \times (0, T), \quad (1.5.1)$$

$$\frac{\partial V}{\partial t} = -V + g \left(V \frac{\partial U}{\partial x} \right) + \varepsilon \frac{\partial^2 V}{\partial x^2} + \varphi(x, t), \quad (x, t) \in \Omega \times (0, T), \quad (1.5.2)$$

$$U(0, t) = U(1, t) = 0, \quad \frac{\partial V}{\partial x}(0, t) = \frac{\partial V}{\partial x}(1, t) = 0, \quad t \in [0, T], \quad (1.5.3)$$

$$U(x, 0) = U_0(x), \quad V(x, 0) = V_0(x) \geq \text{Const} > 0, \quad x \in \bar{\Omega},$$

სადაც g , U_0 , V_0 მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციებია, ამასთან $g_0 \leq g(\xi) \leq G_0$; T , g_0 , G_0 , ε მოცემული დადებითი კონსტანტებია; $\Omega = (0,1)$.

თუ $f \equiv \varphi \equiv 0$, $\varepsilon = 0$, მაშინ (1.5.1)-(1.5.3) ამოცანაში შემავალი არაწრფივი განტოლებები წარმოადგენს მცენარეთა ფოთლებში ძარღვების ფორმირების მათემატიკურ მოდელის ერთგანზომილებიან ანალოგს [57].

არეზე $[0,1] \times [0,T]$ კვლავ შემოვიტანოთ ბადე, რომლის კვანძითი წერტილებია $(x_i, t_j) = (ih, j\tau)$, სადაც $i = 0,1, \dots, M$; $j = 0,1, \dots, N$; $h = \frac{1}{M}$, $\tau = \frac{T}{N}$.

დისკრეტული მიახლოება (x_i, t_j) წერტილში ისევ აღვნიშნოთ u_i^j, v_i^j ბადური ფუნქციებით, ხოლო ამოცანის ზუსტი ამონახსნი იმავე წერტილში კი U_i^j და V_i^j ფუნქციებით.

თუ გამოვიყენებთ სხვაობიანი სქემების აგების სტანდარტულ მეთოდს [81], მივიღებთ (1.5.1)-(1.5.3) ამოცანის შესაბამის დისკრეტულ ანალოგს:

